# საარბიელო

სპორტული გაზეთი პარასკევი 5 აგვისტო 2005 №177 (2500) ფასი 50 თეთრი





## უცხოელს ველი!

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

3



## დღეს ბუნდესლიგა იწყება

ბაიერნი — გლადბახი

7



## ყველა ერისთვის

ფრენბურთის ფედერაციას სპორტის შეფებმა დახმარება აღუთქვეს

15

# ახალი, ძალიან ახალგაზრდული

## კობა ჟორჟიკაშვილი თერმომეტრის გახეთქვას უფრთხის



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა კობა ჟორჟიკაშვილმა საყაზახეთო 20-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. როგორც მოსალოდნელი იყო, გოჩა ტყებუჩავას ნაკრებთან შედარებით, ჟორჟიკაშვილის კრებული მნიშვნელოვნად გადახალისებულია:

მეკარეები: ნუკრი რევიშვილი (ტორპედო), გიორგი თევდორაძე (თბილისი);

მცველები: გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), ზურაბ გვაძაბია, დავით მჭედლიშვილი, გიორგი ელბაქიძე (სამივე ამერი), გულვერდ თომაშვილი (დინამო 2), ზაალ ელიავა (სკონტო, ლატვია), მათე ღვინიანიძე (ლოკომოტივი მოსკოვი, რუსეთი);

ნახევარმცველები: კახა ალადაშვილი (როსტოვი, რუსეთი), ირაკლი ჩირიკაშვილი, შოთა გრიგალაშვილი (ორივე დინამო), მირზა ბჟალავა (ამერი), გიორგი განუგრავა, მიხეილ ბესარაშვილი (ორივე ზესტაფონი), ჯაბა კანკავა (ალანია, რუსეთი);

თავდამსხმელები: რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), გოგი ფიფია (თბილისი), ლადო ლაფერაშვილი, ბექა გოცირიძე (ორივე ზესტაფონი).

როგორც ხედავთ, ახალგაზრდულში ბევრი ის ფეხბურთელია, ერთი თვის წინ იტალიურ ლინიანოში ოლიმპიური ფესტივალი რომ მოიგეს.

ჟორჟიკაშვილის ოცეულიდან ათი პირველად მოხვდა ახალგაზრდულ ნაკრებში.

ნაკრები 8 აგვისტოს დაიწყებს საყაზახეთო სამზადისს, თუმცა მწვრთნელს პრობლემები აფიქრებს. აქედან მთავარი: ყაზახეთში მატჩი იქაური დროით შუადღის 3 საათზე დაიწყება — ამ დროს კი შუა აზიაში 52-55 გრადუსი სიცხე ჩვეულებრივი ამბავია. აბა, მიდი და გაუძელ...

ილია ნანობაშვილი

# ქართველებმა სლოვაკებთან გაივაკეს

ევროსაკვალიფიკაციო ტურნირზე რიხით გავლილი პირველი ჯგუფური ეტაპის შემდეგ ქართველმა კადეტებმა მეორეც მძლავრად დაიწყეს და სანყის ტურში სლოვაკები შემუსრეს — 99:61. გელა ნულაძის შეგირდებს მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუჭირდათ, სანამ მეტოქის თამაშს ალღოს აულებდნენ — მერე კი მისცხეს და საფინალო სირენამდე 25 ქულამდე გაზარდეს უპირატესობა.

ჩვენიანთაგან ჩვეულად რიჩარდ მათიაშვილი გამოირჩა, რომელსაც 21 ქულასთან ერთად 11 მოხსნაც დაუგროვდა. ჩინებულად ითამაშა დანარჩენმა ორმა ცენტრმაც — გიორგი შერმადინმა და ლევან შენგელიამ, ხოლო ფეხმარდ ბექა წივწივაძეს 12 ქულაზე მეტად ალბათ 9 შედეგიან გადაცემას დაუფასებენ მწვრთნელები.

ჩვენსავე ჯგუფში ესტონეთმა ბოსნია დაამარცხა, თუმც მხოლოდ 10 ქულით და პირველი ადგილი ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით ქართველებმა დაისაკუთრეს.

დღეს ქართველები ესტონელებს ეთამაშებიან.




რიჩარდ მათიაშვილმა სლოვაკებსაც შავი დღე აყარა

# ხახუნის ამბავი



ლევან მელქაძე

**თბილისში** მარცხნაგემმა „დინამომ“, დანიურ „ბრონდბიუს“ კოპენჰაგენში წარმატების მინიმალური შანსით რომ ეწვია, იქაც წააგო და ევროსეზონი დაამთავრ... მოდით, ამ ამბავს ნულარ ჩავეძიებით, ქართულ ფეხბურთს უარესებიც ახსოვს... აქ ის ვთქვათ, რაც ქართულ ფეხბურთს ჯერ საერთოდ არ უნახავს და ალბათ კარგა ხანსაც ასე იქნება.

ერთი შეხედვით უმნიშვნელო, თუმც ისეთ საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება, რის გამოც „ბრონდბიუ“ — „დინამოს“ მატჩისას ქართველი ფეხბურთელები ბურთს ხშირად ხეირიანად ვერ აჩერებდნენ და რამდენჯერმე უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდნენ.

...„ბრონდბიუსთან“ საპასუხო მატჩში „დინამომ“ ორი-სამი ნაღდი საგოლე მომენტი გააცუდა. მათგან ერთი, ყველაზე რეალური, მატჩის დასაწყისში ლევან მელქაძეს ჰქონდა — დაახლოებით პენალტის ნიშნულიან მან მეტოქე ჩამოიშორა, ხელისშემშლელი აღარავინ ჰყავდა და გარდაუვალი გოლის მოლოდინში მოულოდნელად წაიქცა, დარტყმაც ვერ მოახერხა.

ნამატჩევს ლევანს ეს ეპიზოდი შევახსენე...

— მცველი რომ მოვატყუე, ვიფიქრე, ეგაა და გავიტანე-მეთქი. კარს გავხედე, კუთხე შევარჩიე და, როცა ბურთზე დასარტყმელად ცაცია მოვიქნიე, საყრდენი ფეხი დამისრიალდა. იქამდე და მერეც მოედანზე თავის შეკავება მიჭირდა, მოედანი სველი იყო.

ამ გაცუდებული მომენტიდან რამდენიმე წუთში დინამოელი მცველი დანიელთა გრძელი პასის ჩასაჭრელად ბურთისკენ გაქანდა, მაგრამ... ბურთი ზედ მცველის ფეხის წინ დაეშვა და მოედნიდან ასხლეტილი მცველის ზურგსუკან აღმოჩნდა, საითკენაც დანიელ ფორვარდს მოძრაობა პასის გაკეთებისთანავე დაწყებული ჰქონდა. ბურთიც სწორედ მან მოირგო და თბილისელთა კართან გვარიანი ხიფათიც შექმნა. მიზეზი აქაც სველი მოედანია.

არადა, არც მატჩის და არც წინა დღეს კოპენჰაგენში არ უწვიმია, მოედანი თამაშის დაწყებამდე ათი წუთით ადრე მოირწყა. საფარქვეშ მთელი სარწყავი სისტემაა დამონტაჟებული, რომელიც საჭირო დროს ზემოთ ამოდის და ძლიერი ჭავლით მოედანს ასველებს.

მეტ-ნაკლებად ნორმალურ ქვეყანაში მოედნის მატჩამდე მორწყვა ჩვეულებრივი ამბავია და სალაპარაკოდ არც ღირს. ასე უნდა იყოს და იმიტომ.

საქართველოში ასეთი სარწყავი სისტემა კი მხოლოდ „მიხეილ მესხზეა“, თუმც ამ სტადიონის მოედანი მატჩის წინ მორწყული არავის უნახავს. ევროპაში არც ერთი მატჩი ისე არ იწყება, თუნდაც უდაბლეს ლიგაში, მოედანი არ მოირწყას და ეს ყველაფერი, ალბათ, თავადაც ხვდებით, ტემპიანი ფეხბურთის სათამაშოდაა მოფიქრებული. ბურთი სწრაფად მოძრაობს და ფეხბურთელსაც იგივე მოეთხოვება.

საქართველოში კი რა ხდება?! ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ფეხბურთს, ფაქტობრივად, თივაზე თამაშობენ, სადაც, ბუნებრივია, ხახუნის ძალა მეტია და თამაშიც, შესაბამისად, დუნე გამოდის. ოსტატობა ოსტატობად და, როცა ქართველი ფეხბურთელი თივიდან სველ მინდორზე ინაცვლებს, რა თქმა უნდა, გაუჭირდება. სველ მოედანზე ბურთი სხვანაირად დაგორავს, ასხლეტა სხვანაირია და ბურთს სად და როგორ დახვდეს, მან არ იცის. ფეხბურთელი მიუჩვეველია სველ მოედანზე ტემპიან თამაშს, ანუ ფეხბურთის თამაშს.

ამ ნაწერს „ბრონდბიუ“ — „დინამოს“ მატჩის გაგრძელებად ნუ ჩათვლით. ერთხელაც ვთქვათ, რომ საქართველოში ფეხბურთის სათამაშო მოედნები არ არის, არც ფეხბურთია...

**ძოზა ინასარიძე**


მოელილ-მორწყული „ბრონდბი სტადიუმი“


კახა ალადაშვილმა (მარცხნივ) „დინამოში“ დარჩენას „როსტოვში“ გადასვლა არჩია

# ალადაშვილმა დინამო მადლობით დატოვა

## ბობო ჯერ ყოყმანობს

**კახა ალადაშვილი** დღესხვალ „როსტოვს“ შეუერთდება და ეგებ რუსული პრემიერლიგის უახლოეს ტურშიც ითამაშოს. კახამ გუშინწინ „ბრონდბიუსთან“ შეხვედრაში ბოლოჯერ მოირგო თბილისის „დინამოს“ მაისურა, კლუბს მადლობა გადაუხადა ამაგისთვის და წავიდა...

„დინამოს“ პრესატაშის, ლევან სალუქვაძის ცნობით, ალადაშვილს ისეთი კონტრაქტი ჰქონდა, რომლის თანახმადაც ფეხბურთელს ნებისმიერ დროს შეეძლო ხელშეკრულების შეწყვეტა გარკვეული თანხის სანაცვლოდ. დინამოელებს არ უნდოდათ კახას გაშვება და გაუმჯობესებული კონტრაქტიც შესთავაზეს, თუმცა თბილისელთა მარჯვენაფლანგელმა „როსტოვში“ გადასვლა ამჯობინა, სადაც უკვე თამაშობს ორი ქართველი — მიხეილ აშვეთია და გოჩა ხოჯავა.

რაც შეეხება ფორვარდ მიხეილ ბობოხიძეს, იგი ჯერაც „დინამოში“ ვარჯიშობს და თავად გადაწყვეტს, დარჩეს თუ არა გუნდში. ბობოხიძეს „დინამოსთან“ კონტრაქტი ახლახან დაუსრულდა, კლუბმა მასაც შესთავაზა ახალი ხელშეკრულება და ახლა სიტყვა თავად ფეხბურთელზეა.

ჩვენ კი დავძენთ, რომ „ბობოს“ უკრაინული „ვორსკლას“ ვარიანტი აქვს, თუმცა დღეს უკრაინაში სატრანსფერო ფანჯარა იხურება და...

**ლუკა თალაკვაძე**

# კაშია გერმანიაში მიდის

## შტუტგარტი 10 აგვისტომდე გადაწყდება

**უცნაურია**, ჯერ კიდევ სეზონისწინა შეკრებაზე დაშავებულ შოთა კაშიას ოპერაცია დღემდე არ გაუკეთებია. თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი გერმანიაში წასვლას აპირებს, რათა იქაურ კლინიკაში იმკურნალოს მუხლზე, თუმცა ჯერჯერობით ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

— სიარულისას ფეხი არ მტკივა, მაგრამ ოპერაცია აუცილებელია და საამისოდ შტუტგარტში უნდა წავიდე. „დინამოს“ ხელმძღვანელობა მაიმედებს, რომ ეს პრობლემა მალე მოგვარდება. ალბათ 10 აგვისტომდე წავალ გერმანიაში — გვითხრა გუშინ შოთა კაშიამ.

შეგახსენებთ, რომ კაშიამ წინა სეზონის მეორე ნახევარი ტრავმის გამო ჩააგდო. მას მაშინაც ოპერაცია დასჭირდა, თუმცა მალე ისევ დაშავდა და ახლანდელი ტრავმაც ამის რეციდივია.

**კახა შალამბერიძე**

ფეხბურთი
სტადიონი ამერი
უმაღლესი ლიგა
7 აგვისტო
მეორე ტური
ამერი — ზესტაფონი
თბილისი ზესტაფონი
დასაწყისი 17:30 საათზე.
დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატკეცილი 25
(გლდანულას გადასახვევთან)
მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში
საიტზე: www. fcameri.ge

### შვედეთი

ალსვენსკა. XVII ტური
იურგორდენი 2:2 ჰამარბი
თასის მეოთხედფინალი
ელფსბორგი 3:3 (დ.დ.4:3) ჰეკენი
ატვიდაბერგი 0:0 (ჩ.დ.დ. 5:4პ.ნ.) გაის

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# უცხოს ველი!

## ქველი მემარცხენე კობიაშვილი გერმანულ არჩევნებსა და ქართულ არჩევანზე

*დღეს მორიგი ბუნდესსეზონი იწყება, ლევან კობიაშვილი და მისი „შალკე“ კი ჩემპიონატში ხვალ ჩაებმებიან — გელზენკირხენელები „აუფ შალკეზე“ „კაიზერსლაუტერნს“ დაუხვდებიან.*

*ბუნებრივია, ასეთ დროს საინტერესოა კობიაშვილთან გასაუბრება, მით უმეტეს, რომ მისმა გუნდმა რამდენიმე დღის წინ ამ სეზონის პირველი ბუნდესტიტული მოიგო — ბერლინის „ოლიმპიაშტადიონზე“ გერმანიის ლიგის თასის ფინალში „შტუტგარტი“ წამოაქცია ყოფილი შტუტგარტელის, კევინ კურანის მე-10 წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით...*

*თუმც „სარბიელის“ გამოკითხვით 2004-05 წლების საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს თავიდან მაინც ეროვნულ ნაკრებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა. სხვა თუ არაფერი, ნაკრების ფეხბურთელებმა ჯერაც არ იციან, ვინ გაწვრთნის გუნდს. არადა, 17 აგვისტო კარსაა მომდგარი — საქართველოს ეროვნული გუნდი ყაზახეთისას ეთამაშება...*

— ის ვითარება, რაც ახლა ნაკრებშია შექმნილი, რა თქმა უნდა, ცუდია. რაც უნდა იყოს, ყაზახეთთან მაინც მნიშვნელოვანი მატჩი გველის. თამაში ოფიციალურია და ჩვენც ვალდებულები ვართ, ბოლომდე მობილიზებულებმა ვითამაშოთ.

**— ამ დროს კი საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი არ ჰყავს...**

— მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არასახარბიელოა. ასეთ დღეში არ უნდა ვიყოთ.

**— საკმაო შანსია, ნაკრები ქართველმა მწვრთნელმა ჩაიბაროს. შენი აზრი...**

— ადრეც მითქვამს და გავიმეორებ: საქართველოს ეროვნული გუნდის თავკაცი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ უცხოელი, რომელიც დაშლილ-დაქუცმაცებული გუნდის ფეხზე დაყენებას შეძლებს, იქნება საქმის მცოდნე, გამოცდილი და მიზანდასახული პროფესიონალი. სამწუხაროდ, საქართველოში ახლა ასეთი არავინაა.

**— ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე ამბობს, რომ გუნდმა ელემენტარულად დაცვაში თამაშიც კი არ იცის...**

— უარესიც, გუნდური თამაში არ ვიცით. თანამედროვე ფეხბურთში ინდივიდუალისტებიც წყვეტენ თამაშის ბედს, მაგრამ უმთავრესი მაინც გუნდურია თამაშია, თორემ სათითაოდ რომ ავიღოთ, ნაკრებისთვის ფეხბურთელები, ასე თუ ისე, გვყავს. ვარსკვლავობაზე თავს არ ვდებთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რაღაც შეგვიძლია. ნორმალური დონის მწვრთნელიც იმისთვისაა საჭირო, რომ დაგვალაგოს, აგვაწყოს...

**— ალენ ჟირესის გაშვებაზე რას იტყვი?**

— ვფიქრობ, არ უნდა გაეშვათ. უკეთესი იქნებოდა, დარჩენილიყო. შეიძლება, მან შედეგს ვერ მიაღწია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, საფუძველს ნელ-ნელა ამზადებდა. და რახან გაუშვეს, მაშინ მასზე უკეთესი მოიყვანონ! ვფიქრობ, ჟირესს ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის წარუმატებლობაში. ვაღიარებ, ზოგჯერ არც ჩვენ ვიყავით სათანადოდ მომზადებულნი — წარუმატებლობა ჩვენი ბრალიცაა. არ ვიცი, ახლა რას ფიქრობენ ფედერაციის ხელმძღვანელები, მაგრამ ფაქტია, ნაკრებში ჟირესზე გაცილებით უკეთესი უნდა მოვიდეს. ჩვენ თუ წარამარა ვცვალეთ მწვრთნელები, შედეგი არასდროს გვექნება. ახლა რომ ციკლი ერთმა ჩაამთავროს და საგაისოდ ახალი მოვიყვანოთ — ასე არ გამოვა. არ ჯობია, ციკლიც იმან ჩაამთავროს, ვინც მერე გუნდს ახლისთვის მოამზადებს?! ერთხელაც გავიმეორებ: საქართველოს ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი სჭირდება!

**— ამასობაში ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი პირველსავე პრესკონფერენციაზე ამბობს, ნაკრებში ფეხბურთელების გამოძახებას მწვრთნელი არ სჭირდებაო...**

— რატომ ითქვა ეს, ან საერთოდ, იყო თუ არა ასე, არ ვიცი. ვფიქრობ, ამ ნათქვამში უფრო სხვა რამ დევს, რასაც ჩვენ არავინ გაგვაგებინებს და არც არავინ გვეტყვის. ფაქტია, გუნდს მწვრთნელი ულაპარაკოდ სჭირდება.

**— „შალკეზეც“ ვთქვათ. შაბათს „კაიზერსლაუტერნთან“ ახალი ბუნდესსეზონის პირველი მატჩი გაქვთ. მზად ხართ ჩემპიონატისთვის?**

— თუ იმ შედეგებს გავითვალისწინებთ, რასაც მოსამზადებელ პერიოდში ამხანაგურ მატჩებსა და გერმანიის ლიგის თასზე მივაღწიეთ, ვიტყვი, რომ მზად ვართ, მაგრამ გუნდის რეალური სახე სამიოთხი ტურის შემდეგ უფრო გამოჩნდება.

**— „შალკეს“ ახალწვეულებზე რას იტყვი — კურანი, ბორდონი და ერნსტი მოერგნენ გუნდს?**

— სამივე ისეთი ფეხბურთელია, რომ თავისუფლად შეიძლება, ვთქვათ — „შალკე“ შარშანდელთან შედარებით ნამდვილად გაძლიერდა. ვფიქრობ, ადაპტაცია არ გაუჭირდებათ.

**— კევინ კურანის „ვენერბაჰეში“ გადასული აილტონის შეცვლა შეუძლია?**

— კურანი გერმანიის ნაკრების ფეხბურთელია, ასე რომ...

**— გერმანიის ლიგის თასი უკვე მოიგეთ, მაგრამ ბუნდესლიგა სხვაა. „შალკეს“ მიზანი რა იქნება?**

— გაძლიერებასთან ერთად მოთხოვნაც და მიზანიც მაღლდება... საუკეთესო ადგილებისთვის ვიბრძოლებთ, უფრო ზუსტად, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „ბაიერნის“ ერთ-ერთი კონკურენტი ჩვენც ვიქნებით. რაც უნდა ვთქვათ, გერმანიაში მთავარი გუნდი მაინც „ბაიერნია“, მაგრამ წლეულს შარშანდელი შეცდომის გამეორებას ნამდვილად არ ვაპირებთ.

**— ბევრის აზრით, შარშან „შალკემ“ მიუნხენელებთან საჩემპიონო დუელი უფრო ფსიქოლოგიურად წააგო...**

— გეთანხმები. კი, „შალკეშიც“ არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ჩემპიონებიც იყვნენ და კარგ გუნდებშიც უთამაშიათ, მაგრამ მთლიანობაში „ბაიერნთან“ სწორედაც რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დავთმეთ. შარშან რომელ ჩემპიონობაზე იყო ლაპარაკი, როცა პირველი ექვსი ტურის შემდეგ გასავარდნთა ზონაში ვიყავით. მერე რომ ავთამაშდით და შედეგსაც ნელ-ნელა ვაუმჯობესებდით, საკუთარი თავის ბოლომდე მაინც ვერ ვირწმუნეთ...

**— წლეულსაც ნახევარდაცვაში ითამაშებ?**

— არა, მარცხენა მცველი ვიქნები. სხვათა შორის, შარშანწინაც ასე იყო. ახლა, როცა „შალკეს“ დაშავებული ძირითადი მარცხენა მცველი კრისტიან პანდერი აკლია, რალფ რანგნიკმა ამ პოზიციაზე არჩევანი ჩემზე გააკეთა. პანდერი ორი-სამი თვე ვერ ითამაშებს, რომ გამოჯანმრთელდება, მწვრთნელი ალბათ მაშინ ამწევს ნახევარდაცვაში.

**— და ერთიც: ორი დღეა, „შალკეს“ ახალი კაპიტანი ჰყავს — ებე სანდი. მეკარე ფრანკ როსტი ჩამოაქვეითეს?**

— არა, თავად თქვა უარი და გუნდშიც ახალი არჩევნები მოვაწყეთ. ფარულ კენჭისყრაში მწვრთნელებიც მონაწილეობდნენ და სანდომ გაიმარჯვა.

**— შენ თუ იყავი კანდიდატებში?**

— არ ვყოფილვარ და, რომც ვყოფილიყავი, უარს ვიტყოდი. კაპიტნობა ჩემი საქმე არაა, ჩემი საქმე ფეხბურთის რაც შეიძლება უკეთ თამაშია და ასე იქნება ყოველთვის.

**გიორგი ვაშაკიძე**



# ჯაკობიას დემეტრაძეობას სთავაზობენ

გიორგი დემეტრაძის „ალანიაში“ გადასვლის შემდეგ დონეცკის „მეტალურგს“ რიგიანი თავდამსხმელი არ შემორჩა. დონბასელები სასწრაფოდ ეძებენ „დემეს“ შემცვლელს და თვალი ლაშა ჯაკობიას დაადგეს. უკრაინაში დღეს იხურება სატრანსფერო ფანჯარა და ვინ იცის, ქართველი ფორვარდი დონეცკში ვიხილოთ, თუმცა, აბა, ხარკოვის „მეტალისტს“ ჰკითხეთ...

ჯაკობიას „მეტალისტი“ „შახტართან“ ერთად ლიდერობს უკრაინის ჩემპიონატს — ოთხი თამაშიდან ოთხივე მოიგო და ევროთასებს უმიზნებს. ხარკოველთა სერბი თავკაცი მირონ მარკევიჩიც ლაშას გუნდის ლიდერად მიიჩნევს.

ისე კი, „მეტალურგი“ ფინანსურად გაცილებით ძლიერი კლუბია და თანაც, დონეცკელთა სასურველ ფეხბურთელებში ჯაკობია პირველ ნომრად წერია.

**ილია ნანობაშვილი**



ლაშა ჯაკობიას (მარცხნივ) „მეტალისტი“ ვერ ელევა



სარბიელელები
ვულოცავთ
ფატი დვალიშვილს
და
მამუკა გუბელაძეს
ქალიშვილის,
ლიზის
დაბადებას.
გაიზარდოს,
გაიხაროს,
იდღეგრძელოს!

# ეს იყო ომი

## ტრაპიზონში გაგვაშიშვლეს და ორი დღე გვაქანავეს

*კვიპროსზე დიდი ამბავია და იქაური ზეიმის შემოქმედი კვიპროსის ჩემპიონი, თემურ ქეცბაიას განვრთნილი „ანართოსისია", რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თურქეთის მეორეადგილოსანი, შენოლ გიუნეშის „ტრაბზონსფორი" დააყუდა.*

*პირველი მატჩი კვიპროსზე გაიმართა და „ანართოსისმა" 3:1 მოიგო, მესამე გოლი ანართოსისელთაგან კლიმენტი ნიტაიშვილმა გაიტანა ბოლო წუთზე. გუშინწინ კი ფამაგუსტელები ტრაპიზონში 0:1 დამარცხდნენ, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გავიდნენ, სადაც „გლაზგო რეინჯერსი" ელით და „ჩაფრებიც" თუ გაიარეს, ჩემპიონთა ლიგაში მოხვდებიან.*

*თუმც „რეინჯერსზე" ფიქრი, ალბათ, ცოტა ადრეა, რადგან კვიპროსზე ჯერ ზეიმია, ეროვნულ-პოლიტიკური ფაქტორია, ღირსების საკითხია — კვიპროსის ჩემპიონმა თურქებს მოუგო, კუნძულზე ეთნიკური ბერძნებისა და თურქების შუღლის ამბავი კი კარგად მოგეხსენებათ.*

*„სარბიელთან" „ანართოსისის" შემტევი, თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 26 წლის კლიმენტი წიტაიშვილი საუბრობს...*



კლიმენტი წიტაიშვილი (მარცხნივ) და მისი თანაგუნდელები კვიპროსელებმა გმირებად შერაცხეს

— ტრაპიზონში თამაში გაგვიჭირდა, ძალიან ძნელი მატჩი იყო ჩვენთვის. დაცვითი ტაქტიკა ავირჩიეთ და მეტწილად თავს ვიცავდით. ჯერ მარჯვენა ინსაიდად ვთამაშობდი, მერე ქეცბაიას ადგილას, მარცხნივ გადაველი. თურქებმა გოლი პირველი ტაიმის ბოლოს გაგვიტანეს, ხოლო მეორე ტაიმში, როცა მატჩის დასრულებას 25 წუთი აკლდა, კაცი გაგვიგდეს — ხომ წარმოგიდგენიათ, რა მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდებოდით.

**— გიორგი ქინქლაძე როგორ ჩაერთო თამაშში?**

— გიო მეორე ტაიმის დასაწყისში შემოვიდა, სანამ კაცნაკლულები დავრჩებოდით. მან ბურთი დაიჭირა, ცოტა ამოგვასუნთქა და მოედნის ცენტრში თამაში დავალაგეთ. ქეცბაიაც მაშინ გავიდა მოედნიდან, სანამ კაცს გაგვიგდებდნენ და, როცა ათნი დავრჩით, მე თავდასხმაში ამწია, ჩემამდე წინ ეულად მყოფი ფრუსოსი კი მცველით შეცვალა.

**— თურქებმა ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს?**

— კი, მაგრამ ჩვენმა მეკარემ ძალიან მაგრად ითამაშა და რამდენჯერმე გადაგვარჩინა, მცველებიც კარგად გაისარჯნენ და ჩვენც, ნახევარმცველებმა და თავდამსხმელებმა, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ.

**— ტრაპიზონის სტადიონზე რა ხდებოდა, ქომაგებისგან თქვენ მიმართ აგრესია იგრძნობოდა?**

— ეს ფეხბურთი კი არა, ომი იყო. ძალიან დაძაბულები ვიყავით, სტადიონი კი, რა თქმა უნდა, გადაჭედილი იყო. თამაში რომ დამთავრდა, გულშემატკივართა აგრესიაც გაიზარდა, ხოლო ავტობუსში რომ ჩავსხედით, ქვები დაგვიშინეს. ავტობუსის ორი ფანჯარა გაიბზარა, ეტყობა, ორმაგი მინა ჰქონდა და ქვებს კარგად უძლებდა. ავტობუსს ბევრი ქვა მოხვდა, ქუჩაში რომ გამოველით, სახლებიდანაც კი გვესროდნენ საგნებს, შეიძლება ითქვას, ავტობუსში კი არ ვიჯექით, ვიწექით.

**— თამაშამდე რა სიტუაცია იყო ტრაპიზონში?**

— თურქი გულშემატკივრები მაშინაც არ გვასვენებდნენ. ვარჯიშზე წასასვლელად ავტობუსში რომ ჩავსხედით, რამდენიმე ათასი კაციც იქვე გაჩნდა, ავტობუსს დაეჭიდნენ და აქანავეს. იგივე მოხდა თამაშის წინაც. მოკლედ, ორი დღე ავტობუსში გვაქანავეს გულშემატკივრებმა.

**— კი მაგრამ, თურქული პოლიცია რას აკეთებდა ამ დროს?**

— ისინი შეძლებისდაგვარად წესრიგს იცავდნენ, ხოლო რაც შეეხება საბაჟოს, როცა ტრაპიზონის აეროპორტში ვიყავით, საგულდაგულოდ შეგვამოწმეს, ტანზე გაგვხადეს, აეროპორტში, ფაქტობრივად, შიშვლები ვიყავით, ფეხსაცმლის გახდაც კი მოგვთხოვეს.

**— კვიპროსზე დაბრუნებულებს კი ალბათ დიდი ზარ-ზეიმით დაგხვდნენ...**

— ლარნაკაში რომ ჩავფრინდით, ძალიან ბევრი ხალხი დაგვხვდა, გვეგონა, აეროპორტში დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთელი კვიპროსი გარეთ იყო გამოსული, ქუჩებში საცობები იყო. ლარნაკადან ფამაგუსტაში ძლივს ჩამოვაღწიეთ, გზად ნიქოზიაშიც მთელი ქალაქი გვეგებებოდა, ჩვენ ხომ თურქული გუნდი გავაგდეთ — მოკლედ, ისტორიული ამბავი მოხდა.

**დავით თავართქილაძე**

# ჩეჩნებს თანხა ემცხეთათ



გურამ [illegible] ფოტო

# გოგუა ხიმკიში დაბრუნდა

**21 წლის** გოგიტა გოგუა რუსეთის პირველი დივიზიონის „ხიმკიდან" პრემიერლიგის გროზნოს „ტერეკში" რომ ეშურებოდა გადასვლას, ადრე გაუწყეთ. გუშინ კი გოგუას კისლოვოდსკში დავუკავშირდით, საიდანაც ის მოსკოვში მიემგზავრებოდა...

— „ტერეკიდან" წამოვედი და „ხიმკიში" ვბრუნდები. „ტერეკის" წარმომადგენლები თურმე ჩემს სანაკრებო მატჩებსაც დასწრებიან და ინტერესიც მაშინ გაჩნდა. გროზნოელებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩემი აყვანა და „ტერეკშიც" იმიტომ მივედი, ენახათ, როგორ შევეწყობოდი გუნდს. „ტერეკთან" სამი დღე ვიყავი და ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ როცა „ტერეკის" ხელმძღვანელობა „ხიმკისას" დაუკავშირდა, ხიმკელების მიერ ჩემში მოთხოვნილი თანხა ეძვირა. ერთი სიტყვით, „ხიმკიში" ვბრუნდები, არადა, „ტერეკმა" უკვე კონკრეტული პირობებიც შემომთავაზა. მოლაპარაკებები „ტერეკსა" და „ხიმკის" შორის კი, როგორც მითხრეს, გაგრძელდება — გვითხრა გოგუამ.

შეგახსენებთ, გოგუა „ხიმკიში" „თბილისიდან" მარტში გადავიდა, თუმც რუსეთში სათამაშო პრაქტიკა, ფაქტობრივად, არ აქვს, არადა, გოგუამ ეროვნულ ნაკრებშიც საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი.

**დავით თავართქილაძე**

# სატელეფონო ხაზზეა არველაძე

## მაკლიში-გიუნეში-ბლინდი... შემდეგი ქეცბაიაა



გურამ [illegible] ფოტო

თემურ ქეცბაიას, გიორგი ქინქლაძის და კლიმენტი წიტაიშვილის „ანართოსისი" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „რეინჯერსს" შეხვდება.

„ტრაბზონსფორ" — „ანართოსისის" მატჩამდე „რეინჯერსის" ვებგვერდზე დაიწერა, გუნდის თავკაცმა ალექს მაკლიშმა ყოფილ რეინჯერსელ შოთა არველაძეს ტრაბზონსფორული ამბები გამოჰკითხა, რადგან არველაძეს იქ ადრე უთამაშია, თანაც შენოლ გიუნეშის ხელმძღვანელობითო.

გუშინ კი ამის თაობაზე არველაძეს ჰოლანდიაში შევეხმიანეთ და აღმოჩნდა, რომ მას გლაზგოს გარდა ტრაპიზონიდანაც ურეკავდნენ და ამსტერდამიდანაც.

— მაკლიშმა მკითხა, ტრაპიზონი როგორი ქალაქია, როგორი სტადიონი აქვს და რა სიტუაციააო. მაკლიშმა რაღაც-რაღაცები „ანართოსისზეც" მკითხა, მაგრამ უფრო ტრაპიზონზე მესაუბრა. რაც შეეხება წმინდა საფეხბურთო საკითხებს, „რეინჯერსმა" „ტრაბზონსფორ" — „ანართოსისის" მატჩზე ერთ-ერთი მწვრთნელი მიავლინა.

— გიუნეშმა კი „რეინჯერსის" სუსტ და ძლიერ მხარეებზე ჩამომიგდო სიტყვა, თუმც თავშეკავებულიც ჩანდა, კვიპროსელებთან პირველ მატჩში დავმარცხდით და ვიცი, რთული თამაში გველისო.

— ამსტერდამიდან კი „აიაქსის" მთავარმა მწვრთნელმა დენი ბლინდმა დამირეკა. თბილისში „დინამო" — „ბრონდბიუს" მატჩს არ დავსწრებივარ, მაგრამ ბლინდი მაინც დამეკითხა „ბრონდბიუზე". ვუთხარი, ისეთი გუნდი არაა, „აიაქსმა" რომ ვერ მოუგოს. „დინამოზე" კი ბლინდს არაფერი უკითხავს, ალბათ იმიტომ, რომ პირველი მატჩი 0:2 წააგო.

აი, ასეთი მისია ჰქონდა შოთას და ექსრეინჯერსელს მალე, ალბათ, თემურ ქეცბაიაც დაურეკავს — პირველი მატჩი 9 ან 10 აგვისტოსაა, მასპინძელი „ანართოსისია".

**დავით თავართქილაძე**

# რეხვიაშვილი ნიშნებით გადარჩა

**საქართველოს** ნაკრებისა და ლატვიური „ვენტსპილსის" ნახევარმცველი ალექსანდრე რეხვიაშვილი მძიმე ტრავმას გადაურჩა. ჩვენებური „იურმალასთან" საჩემპიონატო მატჩში დაშავდა — ცოცხალ კედელში ჩამდგარს ბურთი თავში მოხვდა და გონება დაკარგა. რეხვიაშვილი სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს, თუმც, საბედნიეროდ, ექიმებმა საშიში ვერაფერი აღმოუჩინეს.

„ვენტსპილსის" პრესსამსახურის გუშინდელი ცნობით, რეხვიაშვილს ტვინის შერყევის ნიშნები აქვს და რამდენიმედღიანი დასვენება სჭირდება.

**კახა შალამბერიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
## II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

2 აგვისტო

**ლივერპული (ინგლისი) 2:0 კაუნასი (ლიტვა) (3:1)**

1:0 ჯერარდი (77), 2:0 სისე (86)
ლივერპული: კარსონი, ჰიპია, ფინანი, ვისბრედი, ვორნოკი, ჰამანი (ჯერარდი 75), სისოკო, ზენდენი, ლუის გარსია, კრუჩი (პოტერი 55), მორიენტესი (სისე 45)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
კაუნასი: კილიონასი, ზელმიკასი, კანჩელსკისი, ბაგუზისი, მანჩხავა, ვ. პეტრენკო (კლიმეკი 45), კვარაცხელია, პელიჩი (ბარევიჩიუსი 66), კუნევიჩიუსი, რიმკევიჩიუსი, პოდერისი (მასილიუსი 87)
მწვრთნელი: ალექსანდრ პისკარევი
მსაჯი: ჯანლუკა პაპარესტა (იტალია)
43 717 მაყურებელი

**სელტიკი (შოტლანდია) 4:0 პეტრჟალკა (სლოვაკეთი) (0:5)**

1:0 ა. ტომსონი (22პ), 2:0 ჰარტსონი (45), 3:0 მაკმანუსი (54), 4:0 კ. ბიტი (82)

3 აგვისტო

**ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 1:0 ანდერლეხტი (ბელგია) (0:5)**

1:0 ვ. ბორეტი (53.)
ნეფთჩი: ნისოვიჩი, აბრამიძე, გეტმანი, ბორეტი, ფ. სადიგოვი, აბასოვი, მამადოვი, ნაბიევი (კორდასი 90), სუბასიჩი (მიშურა 76), ტაგიზადე, ა. სადიგოვი (მუსაიევი 69)
მწვრთნელი: ალასალიმ მირავადოვი

**ლოკომოტივი (რუსეთი) 2:0 რაბოტნიჩკი (მაკედონია) (1:1)**

1:0 სიჩევი (75), 2:0 ასათიანი (85)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ბიკეი, ევსეევი, პაშინინი, ლიმა (სენნიკოვი 82), ხოხლოვი, ასათიანი, გურენკო, ბილიალეტდინოვი (ლებედენკო 89), სამედოვი (მამინოვი 73), გურენკო, სიჩევი
მწვრთნელი: ვლადიმირ ეშტრეკოვი

**ტრაბზონსპორი (თურქეთი) 1:0 ანართოსისი (კვიპროსი) (1:3)**

1:0 ტეკე (40)
ანორთოსისი: გეორგიალიდესი, ჰაბერი, კატსავაკისი, ნიკოლაუ, ჰახი, ლუკა, ძეცბაია (კონსტანტინუ 66), ფრუსუსი (ხენიდისი 75), პურსატიდისი, მარაგოსი (ძინძლაძე 57), წიტაიშვილი
მწვრთნელი: თემურ ძეცბაია

**შერიფი (მოლდოვა) 0:1 პარტიზანი (სერბეთი) (0:1)**

0:1 ოდიტა (64)
შერიფი: პუტანი, გუმენუკი, ტესტემიტანუ, ტასემბედო, თარხნიშვილი, დერმე, ფლორესკუ (კუჩუკი 82), ეპურიანუ, იონესკუ (გოგინაშვილი 73), კოსისი, ლაკუსტა
მწვრთნელი: ლეონიდ კუჩუკი

**ჰაკა (ფინეთი) 1:4 ვოლერენგა (ნორვეგია) (0:1)**

1:0 ლეტინენი (9), 1:1 ვიოლერი (27), 1:2 ფლო (29), 1:3 ს. ივერსენი (60), 1:4 ფლო (75)

**მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 2:2 მალმიო (შვედეთი) (2:3)**

1:0 კოლაუტი (10), 1:1 ა. ალვეში (21), 2:1 არბეიტმანი (60), 2:2 აბელსონი (89)

**სტიაუა (რუმინეთი) 4:1 შელბურნი (ირლანდია) (0:0)**

1:0 ნიკოლიტა (19), 2:0 იაკობი (22), 2:1 ბიენი (39), 3:1 დინიტა (62), 4:1 ოპრიტა (90პ)

**ცსკა (ბულგარეთი) 2:0 ტირანა (ალბანეთი) (2:0)**

1:0 ზადი (3), 2:0 ტოდოროვი (90)

**ჰაიდუკი (ხორვატია) 0:5 დებრეცენი (უნგრეთი) (0:1)**

0:1 ჰალმოში (1), 0:2 კერეკეში (22), 0:3 ჰალმოში (27), 0:4 სიდიბე (75), 0:5 კისი (90)

**რაპიდი (ავსტრია) 3:2 დუდელანჟი (ლუქსემბურგი) (6:1)**

0:1 ტოსუნი (7ს.კ.), 0:2 გრუზნინვი (38), 1:2, 2:2 ლოუერი (47, 81), 3:2 დოლინგერი (86)

**თუნი (შვეიცარია) 1:0 დინამო (უკრაინა) (2:2)**

1:0 ბერნარდინი (90)

# თავი დამალე, მიროსლავ!
## ქვეყნის მასხარა ბლაჟევიჩი



„თუნის“ მწვრთნელი
ურს შიონენბერგერი

**კიევის** „დინამო“ დააჩოქა გუნდმა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველად მოხვდა. ბერნში, ახალ სტადიონზე, „თუნის“ საქომაგოდ 26 ათასი გულშემატკივარი მივიდა. ამდენი მაყურებელი თუნელებს საშინაო მატჩებზე არასოდეს ენახათ და ხალხის სიმრავლით შეგულიანებულებმა „დინამოს“ ტოლი არ დაუდეს. მატჩის ბოლო წუთზე ბერნარდინიმ შოვკოვსკის თავურით გაუტანა და კიეველები ლიგისკენ მიმავალი გზიდან დაიფრინა.

ბაქოს „ნეფთჩი“ პირველ შეხვედრაში სტუმრად „ანდერლეხტთან“ შერცხვა, რაკი 0:5 წააგო. სამაგიეროდ, საპასუხო მატჩში ნამუსი მოიწმინდა და ბელგიური ბობოლა გუნდი დაამარცხა. „ნეფთჩის“ ხორვატმა ლეგიონერმა ვადიმ ბორეტმა მეხუთე წუთზე დანიშნული პენალტი გამოიყენა, „ანდერლეხტს“ კი საქმე უკვე მოთავებული ჰქონდა და კიდევ ხუთი გოლის გასატანად ოფლი არ დაუღვრია.

მიროსლავ ბლაჟევიჩს სპლიტში თავი აღარ გამოეყოფა. მისმა გაწვრთნილმა „ჰაიდუკმა“ უნგრულ „დებრეცენთან“ 0:5 საშინაო მარცხით ქვეყანა შეარცხვინა, ხორვატიულმა მედიამ კი ბლაჟევიჩს მასხარა უწოდა.

„ჰაიდუკმა“ ერთი კვირის წინ უნგრეთში 0:3 წააგო და შინ, სულ ცოტა, სამი უპასუხო გოლის გატანაზე ოცნებობდა, მაგრამ „დებრეცენმა“ „ჰაიდუკის“ ოცნებას პირველივე წუთზე ჰანლური ამოჰკრა. პეტერ ჰალმოშიმ მასპინძელი მცველის გამოუყეყეჩებით ისარგებლა და სტუმრები დააწინაურა. გულგატეხილ ხორვატებს პირველივე ტაიმში კერეკეშმა მეორე, ჰალმოშიმ კი მესამე გაუტანეს. შესვენების შემდეგ ხორვატები უპატრონო ინდაურებივით დაბანცალებდნენ და კიდევ ორი გაუშვეს.

ლუქსემბურგის „დუდელანჟმა“ გაბედა და ავსტრიის ჩემპიონს ორი გოლი გაუტანა, თან 37-ე წუთამდე „რაპიდს“ უგებდა. ლუქსემბურგელები საბოლოოდ მაინც გამოდუდელანჟდნენ და წააგეს. საქვეყნოდ თავის მოჭრისგან „რაპიდი“ ლოუერმა და დოლინგერმა იხსნეს. პირველმა დუბლი მიითვალა და გაათანაბრა, მეორემ კი მასპინძელთა გამარჯვებისა შეაგდო.

სკანდინავიურ წყვილში ნორვეგიელებმა იძალეს. „ვალერენგამ“ ამ ზაფხულს ტორე ანდრე ფლო გადაიბირა და ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა ფინეთში „ჰაკას“ დუბლი შეუსრულა, თითო გოლი კი ვიოლერმა და ივერსენმა მიითვალეს.

ჰაიფას „მაკაბის“ მწვრთნელი რონი ლევი ამაოდ იკვეხნიდა, „მალმიოს“ შინ მივანგრევთო. მეათე წუთზე მასპინძლები რობერტო კოლაუტიმ დააწინაურა, მაგრამ შვედებმა „მაკაბის“ მეკარის ჩათვლემით ისარგებლეს და მალე გაათანაბრეს.

მეორე ტაიმში 20 წლის შლომი არბეიტმანმა მეორე გაუტანა სტუმრებს, თუმც ყმაწვილი მეგოლე ხელით თამაშისთვის გააძევეს. ათკაცა „მაკაბიმ“ შვედთა იერიშებს ვეღარ გაუძლო. შეცვლაზე შესულმა პეტერ ალბესონმა ბოლო წუთზე იხეირა და „მალმიო“ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გაიყვანა.

სოფიის ცსკა-მ ალბანურ „ტირანას“ პირველი მატჩის ანგარიში გაუმეორა — ორი გოლი აკმარა. ზადიმ მეოთხე წუთზე გახსნა ანგარიში, ხოლო ტოდოროვმა თამაშის ბოლოს გაიტანა.

ირლანდიურმა „შელბურნმა“ ერთი კი გაიფაფხურა, როცა შესვენებამდე „სტიაუას“ გაუთანაბრა, მაგრამ რუმინელებმა ამის შემდეგ მიჭეჭყეს მეტოქე და სამი გოლი მიართვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინტერტოტოს თასი 2005
## IV ეტაპი. საპასუხო მატჩები

*კლუჟი (რუმინეთი)* 5:1 ჟალგირისი (ლიტვა) (2:1)
*ლანსი (საფრანგეთი)* 4:0 ვოლფსბურგი (გერმანია) (0:0)
როდა (ჰოლანდია) 0:0 *ვალენსია (ესპანეთი)* (1:3)
*ჰამბურგი (გერმანია)* 3:0 სიგმა (ჩეხეთი) (1:0)
ნიუკასლი (ინგლისი) 1:2 *დეპორტივო (ესპანეთი)* (1:2)
*მარსელი (საფრანგეთი)* 3:0 ლაციო (იტალია) (0:0)

# აფროარაბულად გატყავებული მგლები
## შირერი ევროპას უხეშად დაემშვიდობა

**კოტ დივუარელმა** არუნა დინდანემ, მალელმა სეიდუ კეიტამ და ტუნისელმა ისამ ჟემამ „ვოლფსბურგს“ მგლის ტყავი გაახიეს.

„ლანსმა“ აფრიკულ-არაბული გოლებით ბუნდესლიგური გუნდი მიანგრია და ინტერტოტოს ფინალში გავიდა. „ანდერლეხტიდან“ სამ მილიონ ევროდ შეძენილმა დინდანემ პირველი ლანსური შესვენებამდე სამი წუთით ადრე გაიტანა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კეიტას ზუსტი თავურის შემდეგ სხვაობა ორამდე გაიზარდა, მერე სტუმარი მცველი ხუან კარლოს მენსეგეში უხეშობისთვის მოედნიდან მიაბრძანეს და ათი „ცრუმგელი“ ლანსელთა შეტევებს ვეღარ გაუმკლავდა. მატჩის ბოლო ორ წუთში ისამ ჟემამ დუბლი შეასრულა და „ვოლფსბურგი“ ინტერტოტოდან გააძუნძულა.

„ლანსის“ დარად იყოჩაღა „მარსელმა“, რომელმაც რომის „ლაციოს“ ხუთწუთიანი „დაბომბვა“ მოუწყო. მამადუ ნიანგმა, ანდრეს მენდოსამ და ფრანკ რობერიმ ისე მიაყოლეს გოლები, რომ სტუმართა მეკარე მატეო სერენის ფეხზე წამოდგომა არ აცალეს.

„ნიუკასლის“ შემადგენლობაში ახალშეძენილ სკოტ პარკერისა და ემრე ბელოზოღლუს დებიუტი შედგა, მაგრამ მათთვის ევროტურნირი წლეულს ამ მატჩით დასრულდა. ბოლო ევრომატჩი იყო ალან შირერისთვისაც, რომელიც მომავალ წელს კარიერას დაამთავრებს. იგი პირველ ტაიმში „დეპორტივოს“ მეკარე მოლინას ეუხეშა და სტუმარ-მასპინძლებმა ერთმანეთისკენ საჩხუბრად გაიწიეს, მაგრამ მსაჯებმა ისინი დააშოშმინეს.

„ნიუკასლი“ შესვენებამდე ჯეიმს მილნერმა დააწინაურა. ამ ანგარიშით „კაჭკაჭები“ ინტერტოტოს ფინალში გადიოდნენ, მაგრამ სიხარული გასახდელიდან გამოსვლისთანავე ჩაუმწარდათ. მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში ჟან ალენ ბუმსონგისა და რობი ელიოტის შეცდომების გამო „ჯორდებმა“ ორი გოლი გაუშვეს. ჯერ ჟორჟე ანდრადემ იხეირა, მერე კი პედრო მუნიტისმა. ნამატჩევს გრემ სუნესმა განაცხადა: „ჩვენ უმაღლესი კლასის გუნდს ვეთამაშეთ და ასეთი მეტოქე შეცდომას არასოდეს გაპატიებს.“

„ჰამბურგის“ ჰოლანდიელმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა „სიგმასთან“ ბრწყინვალედ ითამაშა. როცა შეცვალეს, გულშემატკივრები ფეხზე წამოუდგნენ და ტაში გააყოლეს.

პირველი გოლი „სიგმას“ ბენჯამინ ლაუტმა გაუტანა. ვან დერ ვაარტის დარტყმული ბურთი მეკარე ლოვასიკმა მოიგერია, ლაუტმა კი საგოლედ დაამატა. მეორე ტაიმში ჰოლანდიელმა საჯარიმოს ხაზიდან ცაციით ისე დაჰკრა, რომ ლოვასიკს შანსი არ დაუტოვა, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე ჩეხთა მეკარემ ლაუტს ბურთი „ჩააბარა“ და გერმანელმაც საჩუქარი შეირგო — 3:0.

მოთამაშე-მწვრთნელის დორინელ მუნტეანუს „კლუჟმა“ ვილნიუსის „ჟალგირისი“ ნაცარტუტად აქცია. რუმინელები ლიტველებს ხუთი გოლით გაუმასპინძლდნენ. „კლუჟის“ ბომბარდირმა კოზმინ ტილიბმა ანგარიში მეთერთმეტე წუთზე გახსნა და ინტერტოტოს თასზე უკვე მეშვიდე გოლი მიითვალა, მერე კი ვისაც არ დაეზარა, თითო-თითო გაუტანეს „ჟალგირისს“.

**ვაჟა ხუციშვილი**



შირერი ევროსარბიელს დაემშვიდობა



ლუიშ ფიგუ წუხელ ავსტრიის ქალაქ გრაციდან მილანს გაეშურა

# ლუიშ ფიგუ უკვე ინტერგალაქტიკოსი გახდა

**ლუიშ ფიგუ** მომავალი ორი სეზონის განმავლობაში მილანის „ინტერში" ითამაშებს. მადრიდის „რეალსა" და „ინტერნაციონალს" შორის ორთვიანი გაჭიანურებული მოლაპარაკება მაშინ დასრულდა, როცა პორტუგალიელი ვარსკლავი „ბერნაბეუს" სხვა ფეხბურთელებთან ერთად სეზონთაშორისის ტურნეზე მიფრინავდა. ავსტრიის მიწაზე მშვიდობით დაშვებული ფიგუ უკვე სერია A-ს გრანდის მოთამაშე გახლდათ. 32 წლის ნახევარმცველი „ინტერში" თავისუფალი აგენტის სტატუსით მივიდა და იქ ჯამაგირის სახით წელიწადში 4,5 მილიონ ევროს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ „სამეფო კლუბის" ათიანის გალაშირებით ესპანური „ვალენსია" და ინგლისური „ლივერპულიც" იყვნენ დაინტერესებულნი. ამასთანავე, ლუიშს „ბერნაბეუზე" სათამაშოდ კიდევ ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი, თუმც მადრიდელთა მწვრთნელ ვანდერლეი ლუშემბურგოსთან დაძაბული ურთიერთობის გამო მან იტალიაში წასვლა არჩია.

თავიდან ფეხბურთელი და „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი ხელფასზე ვერ მორიგდნენ. იტალიელებმა 32 წლის ვეტერანს 3,5 მილიონი ევრო შესთავაზეს, თუმც ფიგუს პროტესტის შემდეგ იძულებულნი გახდნენ, ჯამაგირი ერთი მილიონით გაეზარდათ. აპენინელები ყველანაირად ეცადნენ, ესპანელებთან გაჯანჯლებული მოლაპარაკებისთვის რაც შეიძლება, ჩქარა მოებათ თავი — ლუიში მოახლოებული ჩემპიონთა ლიგისთვის განაცხადში უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, პორტუგალიელი, რომელიც „სან სიროზე" ძველ მადრიდელებს — სანტიაგო სოლარის, ვალტერ სამუელს და ესტებან კამბიასოს — შეუერთდება, მომავალ კვირას ლიგაზე უკვე დონეცკის „შახტარის" წინაალმდეგ ითამაშებს.

„ვანდერლეი ლუშემბურგოს შეუძლია, თავისუფლად ამოისუნთქოს, მას შემდეგ, რაც ბრაზილიელი „რეალის" მწვრთნელად დაინიშნა, მას და ფიგუს ერთმანეთისთვის წესიერად ხმაც არ გაუციათ. ახლა, როცა პორტუგალიელმა ძირითადში თამაშის სანაცვლოდ მადრიდულ მსუყე ხელფასზე (6 მილიონი ევრო) უარი განაცხადა და „ინტერს" მიაშურა, ლუშემბურგო „სანტიაგო ბერნაბეუზე" თავის საქმეს დაუბრკოლებლად გააკეთებს" — წერდა გუშინდელი ესპანური „მარკა".

**ლადო ხომერიკი**

## რუსეთი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

ცსკა — მოსკვა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 20 | 12 | 8 | 0 | 30:6 | 44 |
| ზენიტი | 19 | 9 | 6 | 4 | 30:17 | 33 |
| ცსკა | 18 | 9 | 5 | 4 | 28:11 | 32 |
| რუბინი | 18 | 7 | 8 | 3 | 20:16 | 29 |
| მოსკვა | 18 | 7 | 7 | 4 | 19:11 | 28 |
| სპარტაკი | 18 | 7 | 6 | 5 | 27:19 | 27 |
| ტორპედო | 18 | 5 | 8 | 5 | 20:17 | 23 |
| შინიკი | 18 | 5 | 8 | 5 | 14:16 | 23 |
| დინამო | 18 | 7 | 1 | 10 | 20:29 | 22 |
| სატურნი | 18 | 5 | 6 | 7 | 13:13 | 21 |
| ამკარი | 18 | 3 | 11 | 4 | 14:21 | 20 |
| ტომი | 18 | 4 | 7 | 7 | 13:19 | 19 |
| კრილია | 19 | 4 | 7 | 8 | 17:27 | 19 |
| ალანია | 18 | 4 | 6 | 8 | 15:27 | 18 |
| ტერეკი | 18 | 4 | 4 | 10 | 10:25 | 16 |
| როსტოვი | 18 | 2 | 6 | 10 | 10:26 | 12 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა
### XVIII ტური

როვანიემი — ინტერი 0:0; კუოპიო — კტპ 2:1; მარიეჰამნი — ტპ 47 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 16 | 11 | 4 | 1 | 29:8 | 37 |
| ჰიკ | 16 | 9 | 7 | 0 | 31:13 | 34 |
| ჰაკა | 15 | 6 | 8 | 1 | 21:8 | 26 |
| ინტერი | 14 | 6 | 6 | 2 | 18:7 | 24 |
| ტამპერე | 14 | 6 | 5 | 3 | 18:13 | 23 |
| ალიანსი | 15 | 5 | 8 | 2 | 17:19 | 23 |
| კტპ | 17 | 6 | 4 | 7 | 22:24 | 22 |
| მარიეჰამნი | 16 | 5 | 5 | 6 | 19:20 | 20 |
| ლაჰტი | 17 | 5 | 4 | 8 | 22:28 | 19 |
| კუოპიო | 17 | 5 | 3 | 9 | 18:28 | 18 |
| როვანიემი | 18 | 3 | 7 | 8 | 16:32 | 16 |
| ტურკუ | 14 | 4 | 3 | 7 | 12:16 | 15 |
| იარო | 16 | 2 | 6 | 8 | 7:20 | 12 |
| ტპ 47 | 17 | 2 | 2 | 13 | 11:25 | 8 |

# VIVE LA FRANCE!
## ზინედინ ზიდანი რისკავს

**თუკი** ფრანგთა ნაკრებს უჭირს, ვინ უნდა დაეხმაროს თუ არა ის — ზინედინ ზიდანი! „რეალის" ვარსკვლავმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, დედამიწის სამგზის საუკეთესო ფეხბურთელმა და ევროპის „ოქროს ბურთის" მფლობელმა გადაწყვიტა კვლავ გალურჯდეს.

„საფრანგეთმა ცხოვრებაში იმდენი მომცა, რომ გადავწყვიტე გასაჭირში დავეხმარო, — განაცხადა 33 წლის დიადმა საკუთარ ვებგვერდზე. საინტერესოა, რომ ზიდანი ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჯიუტად იმეორებდა, რომ გადაწყვეტილებას არაფრის დიდებით არ შეცვლიდა და სანაკრებო ფეხბურთს არ დაუბრუნდებოდა.

„ამ ზაფხულს, შვებულებაში ყოფნის დროს დავფიქრდი და მივხვდი, რომ ფეხბურთში დიდი დრო არ დამრჩენია და მინდა მაქსიმალურად ვისიამოვნო." — დასძინა მან.

ზიზუს ასეთ გადაწყვეტილებას საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ჟან-პიერ ესკალეტესმა ვაჟკაცობა უწოდა.

„ეს დიდი ვაჟკაცობაა, იმიტომ, რომ ზიდანი ნაკრების წარუმატებლობის შემთხვევაში ლეგენდარული სახელისთვის ჩრდილის მიყენებით რისკავს" — განმარტა პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ ევრო 2004-ის მეოთხედფინალიდან გავარდნის შემდეგ „მამლები" და საერთოდ სანაკრებო ფეხბურთი დატოვა 90-იანი წლების დიდი თაობის რამდენიმა ვარსკვლავმა. ამის შემდეგ ლურჯების გაძღოლა რაიმონ დომენეკს ჩააბარეს, რომელსაც ჯერჯერობით არ უმართლებს — დღეს საფრანგეთის ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ირლანდიის, შვეიცარიისა და ისრაელის შემდეგ მეოთხე პოზიციაზეა.



ზიზუ ისევ გალურჯდა

**პაატა ძედია**

# რომანი რომას კასანოს სთხოვსო

**თურმე** „ჩელსი" მზად არის „რომას" ანტონიო კასანოს სანაცვლოდ გვარიანი თანხა შესთავაზოს — აი, რა ხმები დაიყარა საფეხბურთო ევროპაში.

შეგახსენებთ, რომ აქამდე კასანოზე ამბობდნენ უეჭველად „იუვენტუსში" გადადისო. ვინ იცის ასეც მომხდარიყო, რომაელთათვის სატრანსფერო სანქციები რომ არ მიესაჯათ. ცნობილიც კი იყო რას აპირებდა „იუვე" — ტურინელები ფულს პლუს ფეხბურთელს შესთავაზებდნენ ჯალოროსთა ბანაკს, მაგრამ გაირკვა, რომ მათ ახალი მოთამაშის ყიდვის უფლებას არ აძლევენ.

ახლა კი გამოჩნდა რომან აბრამოვიჩი თავისი „ჩელსით", უფრო სწორად მილიონებით და საფულიდან 10 მილიონი ინგლისური გირვანქა გამოაჩინა. ამბობენ, კასანოს საკონტრაქტო სიტუაციიდან გამომდინარე რომაელები შეიძლება გარიგებაზე წავიდნენ კიდეცო. კერძოდ, თავდამსხმელი ერთი სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდება და სადაც მოეპრიანება იქ გადავა ისე, რომ ამაში „რომა" ერთ ევროცენტსაც ვერ მიიღებს.

იმავ ხმების მიხედვით კასანოს ლონდონელები ხუთწლიან კონტრაქტს და წელიწადში 4 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. თურმე „ჩელსის" აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონი რომში მოსალაპარაკებლად 15 აგვისტოს ჩავა.

**პაატა ძედია**

# ფილი გარის დაშორდა

**„ევერტონი"** „მანჩესტერ იუნაიტედისგან" ფილ ნევილს ყიდულობს. 28 წლის მცველს ინგლისის ნაკრებში 52 თამაში აქვს ჩატარებული. აქამდე ფეხბურთელობის მთელი 10 წლის განმავლობაში იგი ძმასთან, გარისთან ერთად ალექს ფერგიუსონის ხელმძღვანელობით „ოლდ ტრეფორდზე" გამოდიოდა, მაგრამ გუშინ ლივერპულში გაიარა სამედიცინო შემოწმება. სატრანსფერო თანხა ცნობილი არ არის.

# ოუენი წასვლის შანს მძებს





ვის დარჩება ოუენი?

**მაიკლ ოუენმა** გუშინ მედიასთან შეხვედრისას დაადასტურა, რომ მისი შეძენით რამდენიმე ინგლისური კლუბია დაინტერესებული. „პრემიერლიგის ზოგიერთი გუნდის წარმომადგენლებმა მომმართეს, თუმც კონკრეტული სატრანსფერო წინადადება არ ყოფილა. ჩემთან ხელშეკრულების განახლება მადრიდის „რეალსაც" სურს, თუმც, როგორც განმიცხადეს, თუ სამშობლოში დაბრუნების ხელსაყრელ შანსს გამოვნახავ, ხელმძღვანელობა პრობლემებს არ შემიქმნის" — თქვა თავდამსხმელმა.

ოუენს ალბიონზე დაბრუნებაში ინგლისის ნაკრების თავკაცი სვენ-გორან ერიკსონიც „ეხმარება". „პირადად ჩემთვის და ჩემი სამუშაოსთვის შესანიშნავი იქნება, თუ მაიკი თავის მომავალ სარბიელად „მანჩესტერ იუნაიტედს" აირჩევს. ის და უეინ რუნი ყოველთვის თვალწინ მეყოლებიან, რაც ნაკრებს სარგებლობას მოუტანს" — განაცხადა შვედმა სპეციალისტმა.

ინგლისური „მანჩესტერისა" და „ნიუკასლის" გარდა, ოუენისთვის სატრანსფერო ომში ფრანგული „ლიონიც" ჩაერთო. „რეალის" ფეხბურთელით დაინტერესება თავად პრეზიდენტმა, ჟან მიშელ ოლამ ალიარა: „თავს ბედნიერად ჩავთვლიდი, მაიკლ ოუნი ჩვენს გუნდში რომ თამაშობდეს. ვფიქრობ, „ლიონს" შესწევს ძალა, ეს სატრანსფერო ოპერაცია განახორციელოს".

**ლადო ხომერიკი**

## ნორვეგია

### ტიპელიგა
### XVI ტური

ტრომსიო — ბრანი 1:1; ალესუნდი — ჰამ კამი 1:1; ბოდიო გლიმტი — ოდ გრენლანდი 5:1; ფრედრიკსტადი — რუსენბორგი 5:1; ლილესტრიომი — ვიკინგი 2:0; სტარტი — ლინი 1:1; ვოლერენგა — მოლდე გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 16 | 10 | 4 | 2 | 29:16 | 34 |
| ვოლერენგა | 15 | 9 | 3 | 3 | 25:16 | 30 |
| ვიკინგი | 16 | 9 | 3 | 4 | 25:19 | 30 |
| ლილესტრიომი | 16 | 8 | 3 | 5 | 23:19 | 27 |
| ბრანი | 16 | 7 | 4 | 5 | 31:20 | 25 |
| ლინი | 16 | 6 | 7 | 3 | 21:14 | 25 |
| ფრედრიკსტადი | 16 | 6 | 4 | 6 | 25:23 | 22 |
| რუსენბორგი | 16 | 6 | 3 | 7 | 28:25 | 21 |
| ჰამ კამი | 16 | 5 | 3 | 8 | 17:23 | 18 |
| მოლდე | 15 | 5 | 3 | 7 | 20:28 | 18 |
| ოდ გრენლანდი | 16 | 4 | 3 | 9 | 12:31 | 15 |
| ალესუნდი | 16 | 3 | 5 | 8 | 16:25 | 14 |
| ტრომსიო | 16 | 2 | 7 | 7 | 16:22 | 13 |
| ბოდიო გლიმტი | 16 | 3 | 4 | 9 | 19:26 | 13 |

# გერმანიის ბუნდესლიგა 2005-2006

### ბაიერნი

წინა სეზონში „შალკე“ ეჭიდავებოდა, მაგრამ აპრილ-მაისში „ბაიერნმა“ ქულები წამოკრიფა და საბოლოოდ „ხუმარები“ 14 ქულით ჩამოიტოვა. ჩემპიონს დაცვის ცენტრის გაძლიერება სურდა და ბრემენის „ვერდერისგან“ ამ ზაფხულს ვალერიან ისმაელი შეიძინა. ეს ტრანსფერი 8 მილიონი ევრო დაუჯდა.

„ბაიერნმა“ „შტუტგარტში“ განათხოვრებული ფილიპ ლამი დაიბრუნა, არაბული „ალ აჰლიდან“ კი 26 წლის „აზიელი მარადონა“ დაიმატა: მოჰამად ალი ქარიმი ფაშაქი აზიის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელია. „ალ აჰლიმდე“ მან ირანის რამდენიმე გუნდი გამოიცვალა, თავიდან კი მეორე ლიგის „ფათჰიში“ თამაშობდა. „ფათჰის“ სავარჯიშო მოედანიც არ ჰქონდა და თურმე ქუჩაში პლასტმასის ბურთით ვარჯიშობდნენ.

„ბაიერნის“ ერთადერთი პრობლემა მიხაელ ბალაკია, რომელიც ახალ კონტრაქტზე ხელის მოწერას აჭიანურებს და კლუბის ბოსებს ნერვებს უშლის.

რაც შეეხება „ბაიერნის“ მოიერიშეებს, აქ კვლავაც როი მაკაი, კლაუდიო პიზარო და როკე სანტა კრუზი იბრძოლებენ. მკითხაობა არ უნდა იმას, რომ „ბაიერნი“ ჩემპიონობის მთავარი ფავორიტია.

### შალკე

გელზენკირხენის „შალკემ“ „შტუტგარტის“ მთავარმეგოლე კევინ კურანი 7 მილიონ ევროდ იყიდა და თავდასხმა გააძლიერა. კურანის გარდა „ხუმარებმა“ ზლატან ბაირამოვიჩი „ფრაიბურგიდან“ მუქთად გადაიბარეს. ორი ფორვარდი დაიმატეს, მაგრამ ბრაზილიელი აილტონი „ბეშიქთაშში“ გაუშვეს. აილტონს „შალკეში“ გული აღარ უდგებოდა და ჯერ კიდევ გასულ ზამთარს დაიჩივლა, აქაურობა მაინცდამაინც არ მომწონსო. „ხუმარებს“ დაცვაში ფაბიან ერნსტი შეეშველება, რომელიც „ვერდერიდან“ გადაიყვანეს. „შალკე“ კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

### ვერდერი

ბრემენელი „მუსიკოსები“ გასული სეზონის მიწურულს „აფეთქდნენ“ და მესამე საფეხურზე წამოსკუპდნენ. „ვერდერმა“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური მოიპოვა, მაგრამ ამ ზაფხულს დიდად გაძლიერება არ უცდია. „ბაიერნში“ წასული ვალერიან ისმაელის ნაცვლად ტორსტენ ფრინგსი შეიძინეს. უკვე სამი წელია, თომას შააფის გუნდი თითქმის ერთი და იმავე შემადგენლობით თამაშობს და საკმაოდ სტაბილურად. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ვერდერი“ კვლავ ზედა სამეულში შესაძვრომად იბრძოლებს.

### ჰერტა

დედაქალაქურ კლუბს ტრანსფერებზე ფული არ დაუხარჯავს. ფალკო გიოტცს კარგად შეთამაშებული გუნდი ჰყავს და ამ სეზონში მათი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზური იქნება. „ჰერტამ“ წინა ჩემპიონატში 31 გოლი გაუშვა. ამ მაჩვენებლით ბერლინელთა დაცვამ თვით. „ბაიერნისას“ (33) აჯობა.



დღეს „ალიანს არენაზე“ ბუნდესლიგის ჩემპიონატი დაიწყება

# მარადონიანი ბუნდესლიგა

## ყველაფერი გაიხადე და ფეხებით წამოდი

